,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ დასკვნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ დასკვნა ჩოხატაურში 9 აპრილის ქ. N25-ში მდებარე 950.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.22.009) და მასზე მდებარე N2 და N4 შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემის მიზნით, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

კომისიამ განიხილა „ჩოხატაურში 9 აპრილის ქ. N25-ში მდებარე 950.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.22.009) და მასზე მდებარე N2 და N4 შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემის მიზნით, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა: ვინაიდან დასაზუსტებელია სარგებლობის უფლებით გასაცემი ობიექტის სარეგისტრაციო პროცედურები (საკადასტრო ობიექტებად დაყოფა) საკითხი მოიხსნას ბიუროს სხდომის დღის წესრიგიდან.

,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ დასკვნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

კომისიამ განიხილა და გადაწყვიტა ცნობად იქნას მიღებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.